შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№18 (9.780)

13-20 მაისი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ.2

გზა ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული დიალოგისაკენ...

გვ.3

შინმოუსვლელთა მემორიალთან

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იწყება

გვ.3

ამერიკა—საქართველო:

ახალი ნაბიჯი უსაფრთხოების სფეროში

გვ.7

მზა საკვების წარმოება დედოფლისწყაროში

გვ.4

სიახლეები ჰაერივით გვჭირდება

გვ.5

დაკარგულ მოზარდს ქურდობაში ადანაშაულებენ

ქველმოქმედება და დედათა მონასტერი სოფელ სამრეკლოში

გვ. 6

პატარა სპორტსმენის დიდი გამარჯვება

გვ.8

C M Y K

გზა ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული დიალოგისაკენ...

სახეობების მრავალფეროვნებით კავკასია (და საქართველო) მსოფლიოს 200 ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონს შორისაა. ბიომრავალფეროვნების გლობუსზე საქართველო 25-დან ერთ-ერთია. მთელ გლობუსს რომ დავხედოთ, არის უზარმაზარი ფართობი, სადაც ბიომრავალფეროვნების მაღალი მნიშვნელობის მხოლოდ 25 წერტილია. თვითონ ის ფაქტი რომ საქართველო 25-დან ერთ-ერთია, მიანიშნებს მაღალ მნიშვნელობაზე. თუმცა საქართველოს შემთხვევაში ორი პარამეტრი – მაღალი სახეობრივი სიმდიდრე და გადაშენების მაღალი საშიშროება ერთმანეთს ემთხვევა.

ბიომრავალფეროვნება, რომელიც გულისხმობს ყველა ცოცხალი ორგანიზმის ერთობლიობას, ათვლის რაიმე ერთეულში, მაგალითად დედამიწა, ტყე, ტბა, ოკეანე, მდინარე და ა.შ., იდეალური მექანიზმია დედამიწის ცოცხლად შესანარჩუნებლად. ბიომრავალფეროვნების ქსელის შესწავლა, შენარჩუნება და დაცვა ადამიანებისთვის იმპერატიული მნიშვნელობისაა, რადგან თავად ადამიანი სიცოცხლის ამ ფართო ქსელის განუყოფელი ნაწილია, ისევე როგორც მისი აქტიური მომხმარებელი.

ბიომრავალფეროვნების რღვევა იწვევს ეკოსისტემების მოშლას. შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება არავითარ შემთხვევაში არ არის ფუფუნების საგანი, ეს საჭიროებაა.

2-5 მაისს თბილისში გაიმართა მედია სემინარი გარემოს დაცვის ჟურნალისტებისათვის სამხრეთ კავკასიაში მიწის დეგრადაციული ატმოსფეროს სამიზნე გარემოზე.

სემინარზე განიხილეს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის მიერ დაფინანსებული პროექტები, რომლებიც მიწის დეგრადაციის შეჩერებასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას ისახავს მიზნად. საპილოტე პროექტები დედოფლისწყაროსა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა.

როგორც GIZ-ის წარმომადგენელმა ქრისტიან გონერმა თავის პრეზენტაციაში აღნიშნა, გერმანიის წარმომადგენლებმა „ფაოს"თან ერთად შეიმუშავეს პროექტი, რომელიც ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას ეხებოდა და დედოფლისწყაროში ქარსაფარი ზოლების აღდგენას ისახავდა მიზნად. მანამდე ის დარმაზში საფურაჟე ხორბლისგან გამომცხვარი პურით შემოვიდა და აღნიშნა, რომ ეს მშვენიერი შედარებაა მიწასთან, რომელიც დეგრადირებულია ჩვენივე უდიერი დამოკიდებულების გამო.

„როდესაც შევისწავლეთ პრობლემა, ჩვენს წინაშე იყო სამი ამოცანა:

1.როგორ შევაჩეროთ მიწის დეგრადაცია;

2.შევინარჩუნოთ ბიომრავალფეროვნება;

3.გავზარდოთ მოსავლიანობა.

თუშეთის მაგალითზე მან განიხილა ეკოლოგიური პრობლემების შედეგად გამოწვეული ეროზიის პროცესები, კერძოდ, როგორ გამოიფიტა მიწა ათწლეულების მანძილზე უკონტროლო ძოვების გამო, როგორ გაიჩეხა ტყის მასივი და ქარსაფარი ზოლი 90-იან წლებში დედოფლისწყაროში, როდესაც ადამიანები დარჩნენ ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის გარეშე. გადარჩენის ერთადერთი გზაც და სათბობი საშუალებაც მაშინ შეშა იყო. შეშის ღუმელებზე მზადდებოდა სადილიც და ზამთარში ხალხი სწორედ შეშის ღუმელების წყალობით თბებოდა. მას შემდეგ, რაც სიტუაცია გამოსწორდა საქართველოში, მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით, თვალში საცემი გახდა ის ეკოლოგიური პრობლემები, რომელიც ტყის მასივების გაჩეხვამ გამოიწვია. მათ მოგვარებაში გერმანიის მთავრობა დაეხმარა საქართველოს.

GIZ-მა დაიწყო ეროზიის კონტროლი, აშენდა ელექტრო მესერები, განახორციელეს ძოვების კონტროლი და დაიწყეს ტყის მასივების გაშენება.

„ერთი შეხედვით, თითქმის ყველაფერს მივაღწიეთ, მაგრამ გაჩნდა ადმინისტრაციული პრობლემა- თუ ქარსაფარი დაიწვა, ვის მოვთხოვოთ პასუხი? ვინ დაიცავს ქარსაფარ ზოლებს, თუ არ იქნება ინსტიტუციური საკანონმდებლო მხარდაჭერა? -დასვა კითხვა ბატონმა ქრისტიანმა და პასუხიც თავადვე გასცა: როდესაც ჩვენ ვზრუნავთ მცენარეებზე, ამას მხოლოდ მათთვის ხომ არ ვაკეთებთ?"-დიახ, მან არაპირდაპირ მიგვანიშნა, რომ ყველაფერი კეთდება ადამიანებისთვის და ამიტომ ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ გაშენებული ქარსაფარი ზოლებისა თუ ტყის კორომების დაცვა ჩვენივე ინტერესში შედის. გერმანელმა ექსპერტმა ისაუბრა ასევე მიწის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიაზე, რომელშიც უკვე ფერმერთა 70% ჩაერთო.

საკმაოდ საინტერესო მოხსენება გააკეთა თორნიკე ფულარიანმა, რომელმაც ისაუბრა საპილოტე პროექტზე, რომელიც ვაშლოვანის ნაკრძალის მიმდებარე ფერმებში განხორციელდა. პროექტში ორი ფერმა ჩაერთო.

„ევროკავშირის დაფინანსებითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, Clima East საპილოტე პროექტი საქართველოში ხელს უწყობს ვაშლოვანის ეროვნულ პარკში არსებული საძოვრებისა და გადასარეკი ტრასების აღდგენას, მიწისა და საძოვრების მდგრადი მართვის დანერგვას და ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროს შენარჩუნებას კლიმატის ცვლილებისადმი მედეგობის გათვალისწინებით.

პროექტის მიზანია კლიმატის ცვლილების მიმართ ეკოსისტემაზე დაფუძნებული მიდგომების დემონსტრირება, ხოლო სამიზნე ტერიტორიას წარმოადგენენ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები და მათ მიმდებარედ არსებული საძოვრები. იმის გათვალისწინებით, რომ საძოვრების უმეტესობა გზების გაყოლებაზეა და ამის გამო ხშირია გადაძოვება, პროექტი ცდილობს აჩვენოს, რომ ამ ტერიტორიების მდგრადი გამოყენება შესაძლებელია სწორი დაგეგმვის მეშვეობით.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები დასახლებული არაა, მაგრამ გამოიყენება მომთაბარე მეცხვარეების მიერ ზამთრის საძოვრებად. ეს მომთაბარეობა სეზონურია და გულისხმობს ადამიანებისა და ცხვრის გადაადგილებას ზამთრის და ზაფხულის საძოვრებს შორის.

თუშებისათვის მეცხვარეობა ტრადიციული საქმიანობაა და ყველაზე მომგებიან დასაქმებად მიიჩნევა.

თუში მეცხვარის არსებობა გადაჯაჭვულია გარემოსთან. თუმცა, წარსულში საძოვრების არასწორად გამოყენებამ და კლიმატის ცვლილებამ საგრძნობი ზიანი მიაყენა ამ საარსებო გარემოს. შემცირდა მცენარეული საფარი და ბიომრავალფეროვნება, გაიზარდა ნიადაგის ეროზია, გახშირდა გაუდაბნოება. ტყის უსისტემო გაჩეხვამ და პარკის მიმდებარედ ხანძრის ხელოვნურად გაჩენამ - რაც საძოვრის პროდუქტულობის გაზრდის მეთოდად მიიჩნეოდა, გამოიწვია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება და საძოვრების დეგრადირება.

საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენა მოიცავს: ამინდის ექსტრემალური მოვლენების, მაგალითად გვალვისა და ძლიერი ქარის, სიხშირისა და ხანგრძლიობის მატებას, საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდას და ნალექების შემცირებას. ყოველივე ეს იწვევს ადგილობრივი კლიმატის ცვლილებას და პოტენციურად გარდაქმნის სემიარიდულ ლანდშაფტს არიდულ და ნახევრადუდაბნოსა და უდაბნოს ლანდშაფტად.

პროექტის ფარგლებში მოხდა 4064 ჰა საძოვრების, მათ შორის 300 ჰა გადასარეკი ტრასის აღდგენა. პროექტის საქმიანობა ასევე მოიცავს ეროვნული პარკის საზღვრებში არსებული 16000 ჰა საძოვრების მდგრადი მართვის გეგმის შემუშავებას და ფერმერებისა და მეცხვარეების მომზადებას ამ გეგმის განხორციელებისათვის.

გადასარეკ ტრასაზე ზეწოლისა და ცხვრის ფარის წყლის მოსაძებნად გასავლელი მანძილის შესამცირებლად, პარკის შიგნით და მის მიმდებარედ მოეწყო ცხვრის დასაწყურებლები და წყალმომარაგების ორი სისტემა. საერთო ჯამში მოეწყო ხუთი დასაწყურებელი 15 ფერმისათვის.

კლიმატური მონაცემების შეგროვების უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით, განხორციელდა ორი ავტომატური მეტეოროლოგიური სადგურის შეძენა და დამონტაჟება. მეტეოროლოგიური სადგურები ჩართულია ერთიან ეროვნულ მეტეოროლოგიურ ქსელში.

პროექტის მხარდაჭერით, შეიქმნა ერთიანი ვეტერინარული სისტემა თუში მეცხვარეებისათვის, რომელიც პირველ ეტაპზე მოემსახურება დაახლოებით 5000 ცხვარს და მომავალში შეძლებს ამ რიცხვის 30000-მდე გაზრდას"-ასეთია ამ პროექტის შედეგი.

გარემოსდაცვითი საკითხები გენდერულ ჭრილში განიხილა ქეთი წერეთელმა.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ გარემოს დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი და საქართველოს მთავრობის სხვა წარმომადგენლება, აქტიურად იყვნენ ჩართულნი ჟურნალისტები აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან.

კაცობრიობა ვითარდება, ადამიანთა რაოდენობა და მათი საქმიანობის გეოგრაფიული არეალი ფართოვდება. ჩვენ სულ უფრო ღრმად ვიჭრებით ველური ბუნების წიაღში, ეკოსიტემებს კი თავისი სივრცე სჭირდებათ შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისთვის. ცხადია, საქართველო არც პირველია და არც უკანასკნელი, ვინც ამ პრობლემას შეეჩეხა. გარკვეულმა ქვეყნებმა შეძლეს გაეკაფათ გზა ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული დიალოგისათვის. ასე მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ ნორვეგია მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც ტყის ჩეხვის ნულოვან მაჩვენებელზე დაყვანის რეგულაციას მიაღწია...

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, ჯეირანი და ჯიქი საქართველოსთვის სიმბოლური დატვირთვის მატარებელ ცხოველებად იყვნენ მიჩნეულნი. ამჟამად, ორივე სახეობა გადაშენებულია და დღესდღეობით ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მხოლოდ აზერბაიჯანიდან რეინტროდუქცირებული ჯეირნების ნახვა არის შესაძლებელი. 2006-2007 წლებში, იმავე ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, ფოტოხაფანგმა აზერბაიჯანიდან გადმოსული ჯიქი დააფიქსირა. მას შემდეგ ეს ჯიქი, რომელსაც „ნოე" შეარქვეს, ფოტოხაფანგის საშულებით კიდევ რამდენჯერმე იქნა გამოვლენილი. ბოლო რამდენიმე წელია, ნოე ვაშლოვანში აღარ გამოჩენილა. მისი ისტორიული ადგილსამყოფელი მხოლოდ ვაშლოვანით არ შემოიფარგლებოდა და გასული საუკუნის 50-იან წლებში თუშეთსაც მოიცავდა.

ინგა შიოლაშვილი



ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იწყება

გაზაფხულდა და დედოფლისწყაროშიც იწყება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. კონკრეტულად, რომელ სოფლებსა და ქუჩებს ელით განახლება, ამის თაობაზე გაზეთ „შირაქთან“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი** ნიკოლოზ ჯანიაშვილი **საუბრობს:

– დღეს ჩვენს მკითხველს გავაცნობთ იმ ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხას, რომლებიც რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელდება. ეს პროექტები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ვითარებას როგორც ქალაქში, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში.

ქალაქ დედოფლისწყაროში დაგეგმილია ევდოშვილისა და ლომის ქუჩების ასფალტის საფარის რეაბილიტაცია. ეს ქუჩები ქალაქის საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს განეკუთვნება, საუბარია ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლისმიმდებარე ტერიტორიაზე და ასევე ქალაქის ძველი სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე. აღნიშნულ მონაკვეთზე მოსახლეობა ინტენსიურად მოძრაობს, ასფალტის საფარი კი მოძველებულია და განახლებას საჭიროებს.

რეაბილიტაციას ექვემდებარება ასევე ფალიაშვილისა და სარაჯიშვილის ქუჩებიც. ეს გახლავთ „ჯარის წყლის“ მიმდებარე ტერიტორია. მოგეხსენებათ, შარშან გაკეტდა ახალ საავადმყოფოსთან მისასვლელი გზა-სკოლის ქუჩა, ახლა კი ამ ორი ქუჩის გაკეთებით ინფრასტრუქტურა მთელ ამ კვარტალში მოწესრიგდება.

სამხედროს ქუჩაზე დაგეგმილია ასფალტის საფარისა და კუვეიტების მოწყობის სამუშაოები. ეს ქუჩა ე.წ. რაიკომის კორპუსებთან მდებარეობს. წინა წლებში განხორციელდა მიმდებარე მონაკვეთის რეაბილიტაცია, მხოლოდ ეს ერთი ქუჩა დარჩა ამ მონაკვეთში, რომელიც შველას ითხოვდა. წელს ეს პრობლემაც მოგვარდება.

წელს დაგეგმილია ასევე წერეთლის ქუჩის ასფალტის საფარის რეაბილიტაცია. შარშან ამ ქუჩის გადამკვეთი გოგებაშვილის ქუჩა გავაკეთეთ, წერეთლის ქუჩა , რომელიც წლების წინ წყალგაყვანილობის სამუშაოების გამო საგრძნობლად იყო დაზიანებული, დიდი ხნის მანძილზე ცუდ მდგომარეობაშია.

მნიშვნელოვანია სამრეკლოში მეორე ქუჩაზე ასფალტის საფარის მოწყობა. ეს ქუჩა, დედოფლისწყარო-სამრეკლოს საზღვრიდან რომ იწყება, ჩადის სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრამდე. საკმაოდ დიდი უბანია, მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობით, პროექტიც, შესაბამისად, ძვირადღირებულია- 705 626 ლარიანი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი. ამ ქუჩის კეთილმოწყობა სამრეკლოს მოსახლეობას ცხოვრებას გაულამაზებს და გაუიოლებს.

ქალაქ დედოფლისწყაროში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე კორპუსებთან მისასვლელ გზაზე ასფალტის მოწყობა მოხდება. საუბარია ხიდის მიმდებარედ არსებული კორპუსების შიდა ტერიტორიის კეთილმოწყობაზე. გზების პრობლემა უკვე წელში გადატეხილი და, პრაქტიკულად, მოგვარებულია, ამიტომ უკვე საშუალება გვაქვს, შიდა ეზოების მოწყობაზეც ვიზრუნოთ. ჰერეთის ქუჩა №200-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში სკვერისა და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობაა დაგეგმილი. საუბარია მიკრორაიონის ტერიტორიაზე. ჩვენ დავპირდით მოსახლეობას, რომ ბავშვთა გასართობ სკვერს გავაკეთებდით და დანაპირებს ვასრულებთ. ის ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილია და იქ მცხოვრები ბავშვებისთვის ეს კარგი საჩუქარი იქნება.

ხორნაბუჯში დუმბაძის ქუჩაზე არსებული ბოგირი საჭიროებს შეკეთებას. ის საპატრიარქოს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს და საკმაოდ დაზიანებულია, შესაძლებელია შეიქმნას მისი ჩანგრევის სასიშროება. ეს საფრთხე რომ თავიდან ავიცილოთ, მისი სრული რეაბილიტაცია უნდა განხორციელდეს. ჩვენ არ ვართ ორიენტირებული მხოლოდ ქალაქის განვითარებაზე და ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის სოფელი და იქ მცხოვრები ადამიანების ბედ-იღბალი.

ზემო მაჩხაანში დაგეგმილია სანიაღვრე არხის მოწყობა. სოფელს საკმაოდ რთული რელიეფური განლაგება აქვს და წვიმის დროს მოვარდნილი წყალი მოსახლეობას აწუხებს.

არბოშიკში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია იგეგმება. ამ სოფელში არასოდეს არ მომხდარა დაქსელვა და წყლის ცენტრალიზებული მიწოდება. სოფელში სამუშაოები დაყოფილია 3 ეტაპად. პირველი ეტაპი უკვე დასრულდა, მოეწყო ჭაბურღილები, ცენტრალური ავზი და 150 ოჯახი გამრიცხველიანდა და წყალს საკუთარ ეზოებ ში დამონტაჟებული ონკანიდან იღებს. ამჯერად კიდევ ერთი ეტაპი განხორციელდება და წყლით უზრუნველყოფილი გაცილებით მეტი ოჯახი იქნება.

არხილოსკალოში დაგეგმილია საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია. მოგეხსენებათ, ის ადგილი, სადაც ამჟამად საბავშვო ბაღია განთავსებული, არაა ბავშვებისთვის მიზანშეწონილი. იქ არის პოლიცია, სახანძრო, ცენტრალური გზა... ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას განათლების სამინისტროსთან, რათა არხილოსკალოს საჯარო სკოლის პირველი სართულის ფართი 10 წლით გადმოეცა ბაღის განსათავსებლად. მოხდება ამ ფართის სრული რეაბილიტაცია და ბავშვები სექტემბრისთვის უკვე ახალ ბაღში მივლენ, სადაც საუკეთესო გარემო პირობებიც ექნებათ-სკოლის ეზო საკმაოდ დიდი და ლამაზია.

ქალაქ დედოფლისწყაროში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე მოეწყობა გარე განათება. ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როცა სოფლები უკეთაა განათებული, ვიდრე ქალაქი, მაგალითად გამოდგება ზემო მაჩხაანი, რომლის თითქმის 95%-ია განათებული, ასევე არბოშიკი, ფიროსმანი, საბათლო... შარშან ქალაქ დედოფლისწყაროს 18 ქუჩაზე დამონტაჟდა გარე განათების სისტემა, წელს-17 ქუჩაზე მოეწყობა.

ეს არასრული ჩამონათვალია იმ ინფრასტრუქტურული პროექტებისა, რომელთა განხორციელებასაც წელს ვგეგმავთ.

შინმოუსვლელთა მემორიალთან

ამბობენ, გარდაცვლილი სულების სიხარულს და სევდას ბუნება ყველაზე მეტად გრძნობსო. 9 მაისის დილამ ეს კავშირი უკეთესად დაგვანახა. იმ დილით მზე თავის სხივებს უხვად აფრქვევდა დედამიწას, მაგრამ შინმოუსვლელთა მემორიალთან საზოგადოების მისვლისთანავე შავი ღრუბლებით აივსო ზეცა, თითქოს ისიც გლოვობდა ამ დღეს და ძაძას იცვამდა.

მიუხედავად ამინდისა, 9 მაისს მამულიშვილური მოვალეობის მოხდის ნიშნით, რაიონის აქტივმა მოიყარა თავი დედოფლისწყაროს შინმოუსვლელთა მემორიალთან, ყვავილების თაიგული მიართვეს შინმოუსვლელი ჯარისკაცის დედის მემორიალს ჩოხოსანმა პატარებმა ანანო ბიძინაშვილმა და ალეკო შიუკაშვილმა. აქ იყვნენ საკრებულოს წევრები, გამგეობის თანამშრომლები, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები. ღონისძიებას, როგორც ყოველთვის უძღვებოდა ცარო მარტიაშვილი, რომელმაც ომში გარდაცვლილთა სულებს ლექსი მიუძღვნა. გულსატკენად შეინიშნებოდა ის ემოცია, რომ ყოველწლიურად სამამულო ომის ვეტერანები ტოვებენ ამქვეყნიურ ცხოვრებას და მათი რიგები თანდათან მცირდება. ეს წლევანდელ 9 მაისსაც ეტყობოდა. ღონისძიებაზე თავისი ფეხით მოსვლა რაიონში დარჩენილი რვა ვეტერანიდან, მხოლოდ ერთმა ვეტერანმა შეძლო, ნიკოლოზ შანშიაშვილმა, ჩვენ მას ორიოდ სიტყვის თქმა ვთხოვეთ —„არანაირი სურვილი არ მაქვს ინტერვიუს მოცემის, ნუ მიწყენთ შვილო, ძალიან ვინერვიულე დღეს, ჩემი თანამებრძოლი ბიჭები აღარ არიან ცოცხლები და ჩემს გვერდით აღარ დგანან. დღეს ძალიან დავითრგუნე, დიდი სიცარიელე ვიგრძენი და განვიცადე. მტკივა გული, რომ ის თაობა წავიდა. ეს დღე ალბათ გამყვება ყველაზე მძიმე დღედ ჩემს ცხოვრებაში. ძალიან ცუდად მომდის, რომ აქ ვარ, ახალგაზრდა ხელმძღვანელები თავს მევლებიან, ყურადღებას მაქცევენ, მაგრამ ჩემი მეგობარი ბიჭები აღარ არიან, განვიცდი, ვნერვიულობ და ვნანობ, რომ მოვედი, რადგან გულნაკლული მივდივარ,“-აღნიშნა ნიკოლოზ შანშიაშვილმა.

ანსამბლ „ხორნაბუჯის“ მიერ შესრულდა ხალხური სიმღერები, ქორეოგრაფიული ანსამბლის „შირაქის“(ხელმძღვანელი ალექსანდრე გაბრიელაშვილი) და ზემო მაჩხაანის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ქიზიყის“ (ხელმძღვანელი თამაზ ღვალაძე) მიერ დაიდგა ქართული ხალხური ცეკვები. სტუდია „არლეკინოს“ (ხელმძღვანელი ნინო ლოლაშვილი) ლამაზმა გოგონებმა შეასრულეს სიმღერა და ცეკვა. პატრიოტულ თემაზე ლექსები წაიკითხეს გურამ გოგაშვილმა და გიორგი ნიკვაშვილმა. სცენაზე სიტყვით გამოვიდნენ ჰერეთისა და ხორნაბუჯის ეპისკოპოსი მეუფე დიმიტრი, მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, საკრებულოს წევრი მიხეილ ბახუტაშვილი, რომლებმაც ქედი მოიხარეს იმ ვეტერანების წინაშე, ვინც დღეს ცოცხლები არიან და ხსოვნა წარმოსთქვეს მათიც, ვინც უკვე გარდაიცვალნენ. აქვე ბატონმა ნიკოლოზმა ხმამაღლა წარმოთქვა იმ რვა დედოფლისწყაროელი ომის ვეტერანის გვარი და სახელები, ვინც სახეზე გვყავს. „-მუხლს ვიყრი ყოველი ომში დაღუპული გმირი ქართველის წინაშე, ვინც დაბრუნდა და დღეს ცოცხალნი აღარ არიან და მათ წინაშეც, ვინც დღეს კიდევ ჩვენს გვერდითაა. სულ რვა სამამულო ომის ვეტერანი დარჩა სახეზე, ნება მიბოძეთ თითოეული მათგანის გვარი და სახელი წარმოვთქვა, ესენი არიან: ილია ჯავახიშვილი (სოფელი არბოშიკი), ვასილ ქადაგიძე (ქ.დედოფლისწყარო) , ნიკოლოზ შანშიაშვილი (ქ.დედოფლისწყარო), დიმიტრი ბოსტოღანაშვილი, იოსებ ნატროშვილი (ქ. დედოფლისწყარო), ზურაბ სულაშვილი (სოფელი გამარჯვება), ივანე ოზაშვილი (სოფელი ოზაანი) და რეზო ჯანიაშვილი (სოფ. ხორნაბუჯი). სამწუხაროა, რომ რვა ომის ვეტერანიდან მხოლოდ ერთმა ბატონმა, ნიკოლოზ შანშიაშვილმა შეძლო, ჩვენთან ყოფილიყო დღეს, დანარჩენები ზოგი მწოლიარეა, ზოგი ვეღარ დადის და ვეღარ შეძლო აქ მოსვლა. გაცნობებთ, რომ საქართველოს პრემიერმა მათ თითოეულს 600 ლარი გადასცა საჩუქრად, ხოლო ჩვენი მუნიციპალიტეტი 250 ლარებს ჩუქნის მათ,“-განაცხადა ბატონმა ნიკოლოზმა. ღონისძიების მსვლელობისას წვიმდა, საშინელი ამინდი იდგა, თუმცა მაყურებელი და მონაწილე ბავშვები ფეხს არ იცვლიდნენ ადგილიდან. საოცარი სულისკვეთება ერთ მუშტად კრავდა იქ მყოფ საზოგადოებას. ქალბატონი ცარო მარტიაშვილი იძულებული გახდა ამინდის გაუარესების გამო

ღონისძიება შეეწყვიტა და ის დარბაზში გაეგრძელებინა.

იქიდან გამომდინარე, რომ ომის ვეტერანები საგრძნობლად შემცირდნენ, ჩვენთვისაც გაჭირდა ვეტერანის მოძებნა, რომელსაც კიდევ ერთხელ გავესაუბრებოდით. ამიტომ ბინაზე ვესტუმრეთ ვეტერან დიმიტრი ბოსტოღანაშვილს, რომელსაც იმდენად გაუხარდა ჩვენი მისვლა და მისი ამბით დაინტერესება, რომ ტირილი დაიწყო. —„1941 წლის იანვარში წამიყვანეს და 46 წელს დავბრუნდი. რასტოვის სიახლოვეს ვომობდით ჩვენი ქვედანაყოფი, თავდაპირველად რუსი, სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი ერთმანეთში არეულად მოვხვდით, მერე სტალინმა გამოსცა ბრძანება, რომ ყველა ერის ხალხი ცალცალკე დავეჯგუფებინეთ, რათა გაადვილებულიყო მებრძოლების ერთმანეთთან კონტაქტი. უმძიმესი დღეები გამოვიარე, ჩვენ გამნაღმველები ვიყავით, ნაღმებსაც განვალაგებდით და განაღმვასაც ვაკეთებდით, ერთ-ერთი ჩვენი წევრი 40 წლის კაცი, იგი წარმოშობით საჩხერიდან იყო, განაღმვისას შეეშალა რაღაც და აფეთქდა. მისი გადარჩენის იმედი ყველას გადაგვეწურა. ომიდან დაბრუნების შემდეგ გავიგეთ, რომ გადარჩენილიყო და ბათუმში დაბრუნებულებმა საჩხერეში შევიარეთ და მოვინახულეთ, ძალიან გაიხარა. ცურვა არ ვიცოდი, ერთხელ გემიდან მომიწია გადმოხტომამ, საიდანაც 50 მეტრი ნაპირამდე როგორმე უნდა გამეცურა, მეგრელი ბიჭები იყვნენ, ვთხოვე ფულს გადაგიხდით, ოღონდ გამიყვანეთ და ნუ დამახრჩობთ- მეთქი, მართლაც ამომიდგნენ აქეთ-იქით დ ხელების შეშველებით ფონს გამომიყვანეს. უიარაღოდ ვიბრძოდით, იარაღი არ გვქონდა, გერმანელებს ავტომატები და კარგი შეიარაღება, საუკეთესო მძიმე ტექნიკა ჰქონდათ, ჩვენ კი მხოლოდ თოფები, ამით რას გავხდებოდით, კავკასიონთან რომ მოგვადგნენ, უკან დახევა დავიწყეთ, იქ საცალფეხო ბილიკზე მოგვიმწყვდიეს, უნდა გამოგვევლო როგორმე, საშინელი ყინვა იყო, ზოგან მტკაველზე იყო გადმოსასვლელი და იმის იქით უფსკრული იყო, ექიმი გოგო გვყავდა და ის წაიღო უფსკრულმა, ვერ გამოიარა, ფეხი დაუცურდა და გადავარდა საწყალი. უმძიმესი ექვსი წელი გამოვიარე. დავბრუნდი 46 წელს, 27 წლის ვიყავი, რომ დავინიშნე. სამი შვილი მყავს, ექვსი შვილიშვილი. ღმერთმა აკმაროს მსოფლიოს მაშინდელი ჩვენი ბიჭების სისხლი, მაგრამ მაწუხებს, რომ დღეს მთელ მსოფლიოში კვლავ იღვრება კაცობრიობის სისხლი, ისიც მტკივა, რომ ის რუსი ხალხი, რომელთანაც ერთად ჩვენ ვომობდით, ახლა ტერიტორიებს გვართმევს. ეს მათი მხრიდან დიდი უსამართლობაა.“ -აღნიშნა ჩვენთან საუბარში დიმიტრი ბოსტოღანაშვილმა.

1941-1945 წლების სამამულო ომში საქართველოდან 700 000 ქართველი ვაჟკაცი წავიდა, აქედან 350 000 უკან აღარ დაბრუნებულა, ისინი ბრძოლის ველზე დაეცნენ და მათი უმეტესობის საფლავები რუსეთის სხვადასხვა ქალაქების ტყვიის და სისხლით გაჟღენთილი მიწაა.

ლალი მეხრიშვილი

სიახლეები ჰაერივით გვჭირდება

ზურაბ მასურაშვილი წარმატებული ახალგაზრდა ფერმერია. ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ბევრი თანატოლისგან განსხვავებით, არასოდეს უთაკილია ფერმაში მუშაობა და საქონელთან ურთიერთობა. დღეს მას საკუთარი ფერმა აქვს, სადაც საუკეთესო მერძეული ჯიშის ძროხები მოაშენა. მისი მიზანია, აწარმოოს რაც შეიძლება მეტი ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტი საქართველოში. რამდენიმე ხნის წინ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მადლობის სიგელი გადასცა სოფლის მეურნეობის სფეროში შეტანილი წვლილისათვის. სულ ახლახანს კი უკვე მისმა ფერმამ მიიღო ჯილდო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან პროექტში „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება“ მონაწილეობისათვის.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება პროფესიული განათლების სტრატეგიაა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს მიიღონ პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება სწავლის პერიოდში. განათლების ეს მოდელი ასევე მომგებიანია დამსაქმებლებისათვის, რადგან მისი მეშვეობით მათ უადვილდებათ კარგად მომზადებული პერსონალის დაქირავება. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება საქართველოსათვის ახალი მოდელია. მისი დანერგვა გახორციელდება საპილოტე პროექტების მეშვეობით, რომელთაც ხელს უწყობენ გაეროს განვითარების პროგრამა **(UNDP)** და შვეიცარიის მთავრობა. პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები სწავლას და მუშაობას ერთდროულად შეძლებენ - ასეთია მთავარი იდეა პროფესიული განათლების რეფორმისა, რომელიც მიზნად ისახავს შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემა შექმნას.

ზურაბ მასურაშვილი: – ერთი წელია, ხორციელდება ეს პროექტი საქართველოში. მიმაჩნია, რომ კერძო სექტორი აქტიურად უნდა იყოს ჩართული მსგავს ინიციატივებში. ჩვენს სფეროში ჭირს კვალიფიციური კადრი,ამიტომ ვთვლი, რომ მსგავსი პროექტები ხელს შეუწყობს სწორედ ასეთი კადრების მომზადებას. კოლეჯში სწავლა ხელს უწყობს თეორიული ცოდნა მიიღოს სტუდენტმა, პარალელურ რეჟიმში პრაქტიკული გამოცდილება კი მას მეტ გამოცდილებას და ცოდნას მისცემს. საზღვარგარეთ სამუშაოზე დაფუძნებულმა სწავლებამ რეალური შედეგი გამოიღო. იმედი მაქვს, ჩვენთანაც გაამართლებს.

სწორედ ამიტომ დავინტერესდი დუალური პროექტით და მაშინვე გამოვხატე მზაობა, მონაწილეობა მიმეღო და სტუდენტები ჩემს ფერმაში დამესაქმებინა. ამ პროგრამაში მონაწილე

სტუდენტების სწავლას სახელმწიფო აფინანსებს და ყოველთვიური სტიპენდიითაც უზრუნველყოფს მათ.

– ზურა, შენი აზრით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობა კვლავ მომხიბლავი გახდეს ახალგაზრდებისთვის?

– სახელმწიფო, კერძო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები, ყველა ერთად უნდა დაირაზმოს ამ სფეროს გადასარჩენად - „ძალა ხომ ერთობაშია“-ასეთია ჩემი დამოკიდებულება. ჩვენი სფერო ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ დიდი ბიძგი გვჭირდება, როგორც ფინანსური, ისე განათლების თვალსაზრისით. დღეს ყველა ფერმერი ცდილობს, რომ ეს საქმე გადაარჩინოს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამე კეთდება აგრარული სექტორის განვითარებისთვის, პრობლემები მაინც თვალშისაცემია. იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი ახალგაზდა ფერმერია, სიახლეები და მსგავსი ინიციატივები ჰაერივით გვჭირდება. მიმაჩნია, რომ ეს მომავლის საქმეა...

წარმატებული ფერმერისთვის სოფლის მეურნეობა მხოლოდ ბიზნესი როდი გახლავთ, ის მისთვის მთელი ცხოვრებაა, უნდა ნახოთ, როგორი სიყვარულითა და გატაცებით საუბრობს ოთხფეხა მეგობრებზე, როგორ ზრუნავს თითოეულ მათგანზე... ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ მისი საქმიანობა ბევრი ახალგაზრდისთვის მისაბაძი იქნება, განსაკუთრებით მათთვის, ვინც განათლებას ამ კუთხით იღებს. დღეს სოფლის მეურნეობას ყველაზე მეტად კვალიფიციური კადრი სჭირდება.

ინგა შიოლაშვილი

მზა საკვების წარმოება დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროში, ე.წ. რუსული სკოლის მიმდებარედ მზა საკვების მწარმოებელი საწარმო გაიხსნა. საწარმო სახელმწიფო პროგრამით, ე.წ „იაფი კრედიტის“ ფარგლებში ამოქმედდა.

საწარმოს მარკეტინგის მენეჯერის, ქეთი ქელეხსაშვილის მტკიცებით, კომპანია „ნაციონალური დელიკატესი ნდ“ მომხმარებელს 100%-ით ნატურალურ, სპეციალურ პაკეტებში შეფუთულ, მზა საკვებს სთავაზობს. კომპანიაში 7 სახეობის პროდუქტი, ლობიო ლორით, ბორში ძროხის ხორცით, სუპ ხარჩო, ქათმის ჩახოხბიოლი, ქართული ფლავი (შილა ფლავი), ფლავი ძროხის ხორცით (უზბეკური ფლავი) და ბრინჯი ბოსტნეულით იწარმოება.

საწარმოში ირწმუნებიან, რომ კერძები არ შეიცავს კონსერვანტებსა და დანამატებს და პროდუქცია მხოლოდ ნედლი ხორცითა და ბოსტნეულით მზადდება.

„საწარმოს მიერ დამზადებული ყველა პროდუქტისათვის გამოყენებულია მხოლოდ ახალი, სუფთა და სასარგებლო ქართული ნატურალური ინგრედიენტები, რაც ერთ-ერთი წინაპირობა იყო საწარმოს ადგილმდებარეობის განსაზღვრაში. ჩვენი პროდუქტი გათვლილია იმ ადამიანებზე, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია დროის ფაქტორი და ჯანსაღი კვება.

დროის მინიმალური დანახარჯით ადამიანს შეუძლია მიირთვას 100% ით ნატურალური ქართული კერძები. მის მოსამზადებლად ინგრედიენტებს, ანუ ბოსტნეულსა და ხორცს ვყიდულობთ ფერმერებისგან, რომლებსაც პროდუქტის უვნებლობის საჭირო სერტიფიკატები აქვთ. საწარმო მდებარეობს ქალაქ დედოფლისწყაროში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიით. დასაქმებული გვყავს ადგილობრივი მაცხოვრებლები, დაახლოებით, 30 ადამიანი, რომლებსაც აქვთ გავლილი გადამზადება და არიან კომპეტენტურები", – განაცხადა ქეთი ქელეხსაშვილმა.

ამ ეტაპზე კომპანია ქართულ ნაციონალურ და უცხოურ ტრადიციულ კერძებს ამზადებს. კომპანიაში ამბობენ, რომ საწარმოს პროდუქციაზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება .

„ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ცხოვრების მზარდი ტემპის შესაბამისად მზა პროდუქტების მომხმარებელი სეგმენტიც სწრაფადმზარდია. ნატურალური და ცოცხალი ინგრედიენტებისაგან დამზადებული მზა საკვების ბაზარზე გამოსვლა დიდ დახმარებას გაუწევს იმ ხალხს, ვისთვისაც ჯანსაღი კვება მნიშვნელოვანია," — განაცხადა ქეთი ქელეხსაშვილმა.

კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია ამ ეტაპზე თბილისში ქსელურ მარკეტებში და უბნებში გათავსებულ მცირე მაღაზიებში იყიდება. ქეთი ქელეხსაშვილის ინფორმაციით, მომხმარებელს შეუძლია პროდუქციის ონლაინ შეძენაც **bigmarket.ge**—ზე, სადაც განთავსებულია მათ მიერ წარმოებული პროდუქციის სრული ასორტიმენტი.

კომპანიაში აცხადებენ, რომ საწარმო ფლობს საერთაშორისო სერტიფიკატს **ISO 9001:2015**. მზა საკვების მწარმოებელ კომპანიაში დანერგილია HACCP-ის სისტემა.

„ჩვენი პროდუქციის გასაყიდი ფასები ხელმისაწვდომია ყველასთვის. ერთი ულუფის ღირებულება 3-დან 4.50 ლარამდეა. ამასთან, ნედლეულს გავლილი აქვს ყველანაირი შემოწმება. ქართულ ბაზარზე ჩვენნაირი პროდუქტი არ არის. ბაზარზე არის მზა კერძები, რომელიც მალფუჭებადია, ან პროდუქტები, რომელსაც სჭირდება სანელებლები. ჩვენი პროდუქცია კი არის მზა და საჭიროებს მხოლოთ 2-3 წუთით მიკროტალღურ ღუმელში გაცხელებას.''

კომპანია სამომავლოდ ევროპის ბაზარზე პროდუქციის გატანას გეგმავს. ამჟამად საწარმოს ტექნიკური გადაიარაღება და აღჭურვა მიმდინარეობს.

მაკა ხაზიური

დაკარგულ მოზარდს ქურდობაში ადანაშაულებენ

საგარეჯოდან გაუჩინარებული არასრულწლოვანი სამართალდამცავებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედში, მამის საცხოვრებელ სახლში ნახეს. ის რაიონულ პოლიციაში დაკითხვაზე გადაიყვანეს. სოფელ წყაროსთავში მცხოვრები 15 წლის მოზარდს საგარეჯოს პოლიცია რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდა. როგორც დაკარგულის ახლობლები აცხადებენ, არასრულწლოვანი საგარეჯოს სოფელ უდაბნოს ერთ-ერთ ფერმაში მწყემსად მუშაობდა, საიდანაც ის მოულოდნელად გაუჩინარდა.

პოლიცია განმარტავს, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად პირი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მაშინ ჩაითვლება, თუ მისი ადგილსამყოფელი 5 დღეზე მეტ ხანს ვერ დადგინდა. გამოძიებაც სწორედ ამ ვადის გასვლის შემდეგ იწყება, ამიტომ სამართალდამცველები მხოლოდ სამძებრო სამუშაოებში იყვნენ ჩართულნი, ისე რომ ძიება არ დაწყებულა.

ახალგაზრდის ოჯახი ამბობს, რომ ფერმის მეპატრონემ მოზარდი სამუშაოდ მათთან შეუთანხმებლად წაიყვანა, რის გამოც ბავშვის უფლებები დაირღვა. მშობლები აღნიშნავენ, რომ თავიდანვე მოზარდის მწყემსად მუშაობის წინააღმდეგნი იყვნენ. მათი მტკიცებით, ოჯახს ეკონომიურად ძალიან უჭირს, მაგრამ ამის მიუხედავად, არ სურდათ ბიჭს მწყემსად ემუშავა. საპირისპიროს ყვებიან მეზობლები. მათი ინფორმაციით, მოზარდის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია ოჯახს ჰქონდა და ჟურნალისტებს არასწორი ინფორმაცია მიზანმიმართულად მიაწოდეს. მათი თქმით, ახალგაზრდამ ფერმიდან ცხენი და სხვადასხვა ნივთები მოიპარა და დედოფლისწყაროს სოფელ ზემო ქედში მამასთან მალულად წავიდა.

როგორც თავად მოზარდი ყვება, ფერმაში ცუდად ექცეოდნენ, ამის გამო გადაწყვიტა, მეზობელ რაიონში, მამასთან წასულიყო და თავი იქ შეეფარებინა. ცხენიც ტრანსპორტირების გაიოლების მიზნით წაიყვანა და მისი მოპარვა, ან მითვისება არ უცდია. დამალვით მხოლოდ ფერმის მეპატრონეებს დაემალა და არა ოჯახს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურში აცხადებენ, რომ 112-ში შეტყობინება შევიდა. საგარეჯოს რაიონულმა პოლიციამ გამოძიება ფერმის მეპატრონის განცხადების საფუძველზე 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს. გამოძებამ სოფელ ზემო ქედში ნივთმტკიცებად ამოიღო ორი ცხენი, რომელიც მოზარდს თან ჰყავდა, რაც ფერმის საკუთრებაა. ამის გამო საგარეჯოს რაიონულ პოლიციაში ამბობენ, რომ 15 წლის იოსებ გიგაურის წინააღმდეგ საქმე აღიძრა, რადგან ფერმის მეპატრონემ პოლიციას მიმართა და მწყემსი ქურდობაში დაადანაშაულა.

მოზარდის დედა **დოდო ბეშიტაშვილი** ჟურნალისტებთან საუბრისას ამბობს, რომ ფერმის მეპატრონეს მწყემსისთვის ხელფასის გადახდა არ სურს და პოლიციაში სწორედ ამ მიზეზით ჩივის.

„ჩემი შვილი კი არ უნდა დაისაჯოს, ფერმის პატრონი უნდა დაისაჯოს. ბავშვი ნაცემი და დაშინებულია, რომ ასე ილაპარაკოს. მოვითხოვ, რომ სადაც მუშაობდა, მათ აგონ სათანადო პასუხი. ხელფასი რომ არ გადაიხადონ, ამიტომ ბავშვს აშინებდნენ, სცემეს და გააქციეს, ახლა კი აქეთ ადანაშაულებენ,“ – ამბობს არასრულწლოვანის დედა.

საქმის განსაკუთრებულობის გამო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქმეში საკუთარი სურვილით ჩაერთო. ხელმოკლე ოჯახი არასრულწლოვანის უფლებების უსასყიდლოდ დაცვის საკითხს სიხარულით დათანხმდა და საიას იურისტი **ლევან ვეფხვაძე** გიგაურის ინტერესების დაცვას შეუდგა. ადვოკატი „შირაქთან“ საუბრისას პროცედურულ დარღვევებზე ამახვილებს ყურადღებას და მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანის გამოკითხვის დროს პოლიციის შენობაში არაერთ დარღვევას ჰქონდა ადგილი.

„ამ დრომდე არ არის გადაწყვეტილი, ბრალს წაუყენებენ თუ არა. ველოდებით პროკურორის გადაწყვეტილებას. ადვილი შესაძლებელია, ბრალი არც წაუყენონ და განრიდება გაუფორმონ. საქმეში საია ჩაერთო, რადგან მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საქმე გამოძიებული უნდა იქნეს არა ერთ ეპიზოდად, არამედ კომპლექსურად და შესწავლილ იქნეს უპირველესად დეტალები, არასრულწლოვანის მიმართ ხომ არ ჰქონდა ადგილი არასათანადო მოპყრობას და უკანონო ქმედებებს, როგორც ფერმაში მუშაობის პერიოდში, ისე პოლიციის განყოფილებაში. საკითხს ვსწავლობთ სრულყოფილად და დეტალებზე მოგვიანებით ვისაუბრებთ. ზოგადად ვიტყვი, რომ იყო პროცედურული დარღვევები. პოლიციაში გადმოყვანისთანავე მოზარდს ადვოკატის ყოლის უფლება არ განუმარტეს. კანონიერ წარმომადგენლად დაუნიშნეს სოციალური მუშაკი, მაშინ, როცა მისი ოჯახის წევრები იქვე, შენობასთან იმყოფებოდნენ. აუცილებელი იყო ოჯახის წევრის დასწრება და არა მათი შერჩეული სოცმუშაკის. გასაგებია, რომ შესაძლებელია ასეთ დროს სოცმუშაკი ჩართონ, თუმცა უპრიანია ოჯახის წევრს მისცემოდა ამის საშუალება. ამასთან, არასრულწლოვანს გამოკითხვისას არ განემარტა, რომ უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა ინფორმაციის მიწოდებაზე. საბოლოო ჯამში, ჩვენ გვაქვს მოოლოდინი, რომ ბრალს არ წარუდგენენ და განრიდებას გააფორმებენ. ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ორი ცხენი წაიყვანა. სინამდვილეში მან კვიცი ფერმაში დატოვა“, – აღნიშნავს ლევან ვეფხვაძე.

პროკურატურა დეტალების მოკვლევას განაგრძობს, ჯერ კიდევ უცნობია ექსპერტიზის დასკვნა, რის შემდეგაც ცნობილი გახდება ჰქონდა თუ არა არასრულწლოვანის მიმართ ფიზიკურ ძალადობას ადგილი.

ილია მარტყოფლიშვილი

კახეთში ღვინის ჩაის წარმოება იწყება

კახეთის რეგიონში ღვინის ჩაის წარმოება იწყება. „ღვინის ჩაის“ პროექტი „სტარტაპ საქართველოს“ სახელწიფო პროგრამის გამარჯვებულია. „ღვინის ჩაის“ პროექტმა სტარტაპ საქართველოს პროექტში 100 ათასი ლარის დაფინანსება მიიღო. პროექტის ავტორების თანამონაწილეობამ კი 25% შეადგინა.

ინოვაციური პროექტის ერთ-ერთი ავტორი გიორგი ბუკია აცხადებს, რომ ღვინის ჩაის წარმოების იდეა ეკუთვნის ქართველ ფარმაცევტს ირაკლი ნატროშვილს, რომელიც 25 წლის წინ იკვლევდა ღვინის (საფერავის) სასარგებლო თვისებებს. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ გადამუშავების პროცესში მიღებულ პროდუქციას გააჩნია არანაკლებ სასარგებლო თვისებები, ვიდრე ღვინოშია.

„ჩატარდა არაერთი ექსპერიმენტი და მიღებული იქნა ფხვიერი მასა, რომელსაც ღვინის ჩაი ეწოდა. ღვინის დამუშავება რამდენიმე ეტაპისგან შედგება და მიღებული პროდუქციის დაფასოება ხდება პაკეტებში. მომზადების წესი კი ჩაის ანალოგიურია ანუ 3-4 წუთის განმავლობაში საჭიროა მისი გაჩერება ადუღებულ წყალში და პროდუქტი მზად არის“, — განმარტავს ბუკია.

მისივე მტკიცებით, ღვინის ჩაის მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. ჩაის აქვს ყველა ის უნიკალური თვისება, რაც ღვინოს: „საფერავი უნიკალური ჯიშია, ანტიოქსიდანტურია, 20 სახის ამინომჟავას შეიცავს. კარგია სისხლძარღვებისთვის, არ შეიცავს ალკოჰოლს და მისი მიღება ბავშვებსაც შეუძლიათ. ღვინის ჩაის გამოყენება შეიძლება როგორც კვების, ისე ფარმაცევტულ ინდუსტრიაში“, — აცხადებს პროექტის ავტორი.

ამ ეტაპზე პროდუქტის მხოლოდ საცდელი ნიმუშები არსებობს. ბუკიას ინფორმაციით, საწარმოს მოწყობა ნოემბერში დასრულდება და ამ დროიდან პროდუქციის წარმოებაც დაიწყება.

„ამ ეტაპზე საწარმოსთვის ვეძებთ შესაბამის ტერიტორიას. სავარაუდოდ ის კახეთში განთავსდება. საწყის ეტაპზე პროდუქტის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე „ჰორეკა“ ბიზნესში იქნება შესაძლებელი. ამასთან, ნიმუშები გაგზავნილია უკრაინაში, რუსეთში“, — განმარტავს ბუკია.

იგი მიიჩნევს, რომ ღვინის ჩაის პერსპექტივა აქვს მუსულმანურ ქვეყნებშიც, იქ, სადაც ალკოჰოლი აკრძალულია, თუმცა უყვართ ღვინის არომატი. პროექტის ერთ-ერთი ავტორი სამომავლოდ ღვინის სხვა ქართული ჯიშების დამუშავებას გეგმავს თუმცა ამ ეტაპზე აქცენტი საფერავზეა.

„ღვინის ჩაი“ ბაზარზე „საამო“-ს ბრენდით გამოვა. სამომავლოდ გეგმავენ მჭიდრო თანამშრომლობას ღვინის კომპანიებთან და ჩაის ადგილობრივ მწარმოებლებთან. გიორგი ბუკიას პარტნიორები გახდნენ პროდუქტის შემქმნელი პროფესორი ირაკლი ნატროშვილი და მისი ვაჟი, მარკეტინგის სპეციალისტი გიორგი ნატროშვილი.

ანომალიური შემთხვევა დედოფლისწყაროში

ანომალიური შემთხვევა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში 9 მაისს მოხდა. ახალდაბადებული გოჭი ორთავიანი აღმოჩნდა. როგორც თვითმხილველმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სოფლის პატარა ფერმაში დაბადებულმა გოჭმა, რომელსაც ორი თავი აღმოაჩნდა, ადგილობრივებისა და ვეტერინარების ყურადღება მიიქცია.

ადგილობრივმა ალიკა ბაღაშვილმა ორთავიან გოჭს ფოტოები გადაუღო და მეგობრების დახმარებით სოციალურ ქსელში განათავსა.

„ორთავიანი გოჭი გუშინ დაიბადა. სასწაული ის იყო, რომ ერთი თავი მალევე მოკვდა, ხოლო მეორე თავმა რამდენიმე საათით იცოცხლა. გოჭს სრულად ქონდა განვითარებული ტანი და კიდურები, მხოლოდ თავი იყო ორი,“ – განაცხადა ბიზნესმენმა ოთარ კიკილაშვილმა, რომელმაც ფოტოსურათები სოციალურ ქსელში ხელმისაწვდომი გახადა.

ვეტერინარები აღნიშნავენ, რომ ასეთი ანომალიები იშვიათად ხდება და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა რთულია. ანალოგიური შემთხვევა რამდენიმე წლის წინ ჩინეთშიც დაფიქსირდა.

ვეტერინარ მიხეილ გუგუტიშვილის თქმით, ორთავიანი გოჭის დაბადება ანომალიაა. სპეციალისტების განმარტებით, ანომალიების გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს რადიაცია, საკვები, ინფექცია და ეკოლოგიურად დაბინძურებული გარემო.

„ვეტერინარიაში მსგავსი შემთხვევები ანომალიად ითვლება და ძალიან იშვიათად ხდება. ასეთი შემთხვევა გენეტიკას ნაკლებად შეიძლება უკავშირდებოდეს“, — ამბობს სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარი მიხეილ გუგუტიშვილი.

ფერმერ ალიკა ბაღაშვილის თქმით, წლებია ღორები ჰყავს და ასეთი შემთხვევა არ ჰქონია.

„გაკვირვებულები დავრჩით გოჭს ორი თავი რომ დავუნახეთ. ერთი თავი ცოცხალი, მაგრამ მალევე მოკვდა“, — ამბობს ფერმერი.

ბოლო დროს კახეთში რამდენიმე ანომალიური შემთხვევა დაფიქსირდა. 2015 წელს გურჯაანში ორფეხა ხბო დაიბადა, 2012 წელს ველისციხეში ექვსფეხა ბატკანი. მელაანში ხუთფეხა ხბო გაჩნდა, რომელსაც მეხუთე ფეხი კისრის არეში ჰქონდა.

ქველმოქმედება და დედათა მონასტერი სოფელ სამრეკლოში

10 მაისს სოფელ სამრეკლოში გაიმართა ხალხური შემოქმედების ერთი ლამაზი საღამო. ღონისძიება ატარებდა საქველმოქმედო-საინფორმაციო ხასიათს და ეძღვნებოდა სოფელ სამრეკლოში არსებულ სერაფიმე საროველის ტაძრის ეზოში დედათა სამონასტრო კომპლექსის აშენებას. პროექტის წამომწყები გახლავთ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია, ხოლო ფინანსური მხარდამჭერი და შემომწირველი ჩვენი რაიონის მკვიდრი, მსახიობი და ბიზნესმენი ლევან ჯიბღშვილი, რომელმაც გადაწყვიტა ესოდენ სასიკეთო და საშვილიშვილო საქმე გაუკეთოს თავის რაიონს, კერძოდ კი, სოფელ სამრეკლოს. თავის მხრივ მოსახლეობამ და სამრეკლოს კულტურის მუშაკებმა გადაწყვიტეს, წვლილი შეიტანონ და მოსახლეობის მობილიზებით შემოუერთდნენ დასახული სიკეთის განხორციელებაში როგორც ეპარქიას, ასევე ლევანს. საღამო მიჰყავდა სამრეკლოს კულტურის ცენტრის ორგანიზატორს, ქალბატონ ნათელა ბეკოშვილს. ღონისძიება მთლიანად გაიოზ ხუციშვილის ხელმძღვანელობით სოფლის კულტურის სახლთან არსებულმა კვარტეტმა ითავა საკუთარ თავზე, რომლებიც საკმაოდ დიდი რეპერტუარით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე და დაახლოებით 20-მდე ხალხური სიმღერა შესთავაზეს. კვარტეტის სოლისტები გახლავთ: ნატო ჩიბუხაშვილი, ნანა უძილაური და გურანდა ბოსტოღანაშვილი. ვფიქრობ, ეს ქალბატონები, რომლებიც სოფელში ცხოვრობენ და ამავდროულად ქართულ-ხალხურ სიმღერებს თავისი ლამაზი და იშვიათი ხმებით ერთად კინძავენ, ნამდვილად დასაფასებლები არიან როგორც სოფლისგან, ასევე მთელი რაიონისგან. ღონისძიების მსვლელობისას გაიოზ ხუციშვილს გვერდით ედგა და აკომპანიმენტს უწევდა ასევე დასაფასებელი ადამიანი, ქორეოგრაფი და ფოლკლორისტი ბატონი ლეო ხუნაშვილი. ლექსი წაიკითხა ამ სოფლის მკვიდრმა, პოეტმა თამაზ წიკლაურმა, რომელმაც სიტყვის დასაწყისში მიმართა საზოგადოებას, რომ ისინი საქართველოში ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში იმყოფებოდნენ, რომელსაც სამრეკლო ერქვა. საღამოს ესწრებოდნენ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის დედაოები, მეუფე დიმიტრი და დეკანოზი გაბრიელი, რომელთა ლოცვა-კურთხევითაც ჩატარდა ეს ღონისძიება.

საღამოს შეფასება სთხოვეს მეუფე დიმიტრის, რომელმაც თავის გამოსვლაში მოუწოდა სოფელს, ხალხს, რწმუნებულს, მრევლს და სრულიად რაიონის ყველა ფენის წარმომადგენელს, რომ კვირაში ერთი საათით მეტი დრო დაჰყონ საკუთარ ტაძრებში. დღეში ერთი საათით მეტ ხანს გაჩერდნენ ეკლესიებში და სახლის მაგიერ ტაძრებს მოანდომონ ის ერთი საათის შრომა, რათა მეტი იფიქრონ ტაძრების მოვლასა და პატრონობაზე, რომელიც ისევ და ისევ ჩვენსავე სულს წაადგება სასიკეთოდ. მეუფის რჩევა-დარიგებას კარგი იქნება, თუ მოსახლეობა კურთხევად მიიღებს, რადგან ეს ყოველი ჩვენგანის სულს მართლაც რომ ჰაერივით სჭირდება. აქვე ხაზი გაესვა იმას, რომ ტაძრისთვის შეწირული სამშენებლო მასალის რამდენიმე ნივთი სოფლის მოსახლეობამ მოიპარა. ცნობისთვის, პარვა ან ქურდობა, მართლაც რომ სამარცხვინო საქციელია და ქართველი ადამიანისთვის შეუფერებელი. იმედს ვიტოვებთ, ამის შემდეგ მაინც ერთი ადამიანის გაკეთებულ სიკეთეს მეორის ხელი არ მოსპობს და ასეთ ფაქტს ადგილი აღარ ექნება.

ლალი მეხრიშვილი

ნეტარი მოსაგონარი...

ქართველმა ხალხმა სიცოცხლის, გაზაფხულის, ვარდობის და სიყვარულის თვეს დაუკავშირა დედოფალთა დედოფალის, წმინდანად შერაცხული და სამების მეოთხე წევრად აღიარებული მეფე ქალის - თამარის მოსახსენიებელი დღე – 14 მაისი.

ამ დღეს აღნიშნავს სრულიად საქართველო დიდი პოლიტიკური სა საზოგადო მოღვაწის თამარ მეფის დღეს „თამარობას“.

თამარ მეფე გიორგი III-ის და ბურდუხან დედოფლის ასული ბავშვობიდან გონიერებით გამოირჩეოდა და 1179 წელს მეფემ იგი თავის თანამმართველად გაიხადა და ერთად განაგებდნენ სამეფოს 1184 წლამდე. შემდეგ კი ხელახლა აკურთხეს ერთიანობის სიმბოლო მეფედ. მას ბევრი სირთულეების გადალახვა მოუწია საგარეო თუ საშინაო საქმეების მოწესრიგებაში. თამარი ცდილობდა, რომ მამის – გიორგი-ის და დიდი პაპის დავით IV აღმაშენებლის პოლიტიკური კურსი გაეგრძელებინა თავისი მოღვაწეობით შეექმნა თავისი ისტორია, რომელიც იმ ძლიერმა ეპოქამ განაპირობა „ოქროს ხანად“ რომ იწოდებოდა.



საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი 14 მაისი „სკიპტრისმპრობელთა ყოველთა უბრწყინვალესის, როგორც მას მეხოტბეები უწოდებდნენ „მზეთამზე“, „დედოფალთა დედოფლის – თამარ მეფის ხსენების დღედ.

14 მაისი სამარადისოდ შეინახა და დამკვიდრდა საეკლესიო კალენდარში დიდი მამულიშვილის და საქართველოსღთვის დამშვრალი მეფე-ქალის ხსოვნის დღედ. მისი სახება დღესაც ამხნევებს და წინსვლისკენ მოუწოდებს ქართველ ხალხს საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის გზაზე.

უდიდესი მოწიწებით და პატივისცემით იგონებს მთელი ერი გმირ მეფექალს, დიდ „დედას ქართლისას“, სულმნათ თამარს, რომელიც იყო - „დედოფალი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთის, შვიდმნათობიერი, სამგზის სანატრელი და სამებისაგან ოთხად თანააღზევებული, სუე-სრულ და ნათელბრწყინვალე, მეფეთა ელვა-ცისკროვნება, მესიის მახვილი, ღმერთგვირგვინოსანი მეფე და მეფეთმეფე, შიში და ზარი ყოველთა სულთანთა ზედა, მზეთამზე და დედოფალთა დედოფალი, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინებული, მარადდღე მახარობელი ყოველთა გლახაკთა და დავრდომილთა“..

შემთხვევითი არ არის, რომ შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ ღვთის ხოტბის შემდეგ ქებით მიმართა თამარს და დავით სოსლანსა, რომლებიც წარმატებით განაგებდნენ ქვეყანას.

„ვის ჰშვენის, ლომსა, ხმარება, შუბისა, ფარ- შიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა, ღაწვბადახშ,
თმა გიშერისა“

დიდია თამარ.. ვულოცავ ჩემს ქვეყანას „თამარობას“, მისი დიდებული ხატება ფარავდეს სრულიად საქართველოს.

დალი ფიროსმანაშვილი
სოფელი მირზაანი

კახეთში აგრომეტეოროლოგიური სადგურები დამონტაჟდა

კახეთის რეგიონში ავსტრიული წარმოების 22 აგრომეტეოროლოგიური სადგური დამონტაჟდა. ავტომატური სადგურების მეშვეობით შესაძლებელი გახდა ვენახებსა და ხეხილის ბაღებში მოსალოდნელი დაავადებების წინასწარ განსაზღვრა. სურსათის ეროვნული სააგენტო რეგიონის მასშტაბით 8000—მდე მევენახეს, მებაღესა და ფერმერს სმს—ის მეშვეობით წინასწარ შეატყობინებს კონკრეტული დაავადების გავრცელების რისკების შესახებ მისი პრევენციისა და სურსათის უვნებლობის გაზრდის მიზნით.

როგორც სოფლის მეურნეობის საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა დედოფლისწყაროში გიორგი ბენაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ამგვარი სადგური დედოფლისწყაროში ორ წერტილში დამონტაჟდა. უკვე არსებობს დაინტერესებული ფერმერების წინასწარ შედგენილი სატელეფონო ბაზა, რომლის მიხედვითაც ისინი საჭირო ინფორმაციას მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით, უსასყიდლოდ მიიღებს.

კახეთში აგრომეტეოროლოგიური სადგურები სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითრების პროგრამის ფინანსური ხელშეწყობით დაამონტაჟა. პროექტი საპილოტეა და პირველ ეტაპზე მხოლოდ კახეთში განხორციელდება.

„ავტომატური სადგურები ჰაერის ტემპერატურასა და ტენიანობაზე, ნალექების რაოდენობაზე, ქარის სიჩქარესა და მიმართულებაზე, ნიადაგის ტემპერატურასა და ტენიანობაზე მონაცემებს გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციის დამუშავების ცენტრს უგზავნის, რაც ადგილობრივ ფერმერებს საშუალებას მისცემს დროულად მიიღონ ინფორმაცია მიმდინარე და მოსალოდნელი მეტეოროლოგიური პროცესების შესახებ. უკვე შესაძლებელია ვაზის, ხეხილოვანი, მარცვლოვანი და ბოსტნეული კულტურების სოკოვანი დაავადებების წინასწარ პროგნოზირება. ეს სისტემა საშუალებას გვაძლევს, რომ, მაგალითად, მევენახეებმა ვაზი იმდენჯერ აღარ შეწამლონ შხამ—ქიმიკატებით, რამდენჯერაც ახლა იყენებენ. შეწამლონ მხოლოდ მაშინ, როცა ეს საჭიროა დაავადების თავიდან ასაცილებლად. ეს ერთი მხრივ მათ დანახარჯებს შეამცირებს, მეორე მხრივ კი პროდუქციის ხარისხის ზრდას შეუწყობს ხელს. ამავე დროს, ავტომატური სადგურებიდან მიღებული ინფორმაციით ფერმერები სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის ნორმებისა და ვადების შესახებ რეკომენდაციებსაც დროულად მიიღებენ“, — განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა ნიკოლოზ მესხმა.

შეგახსენებთ, დედოფლისწყაროელი ფერმერები სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან ინტენსიურად აყენებდნენ საკითხს, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით აუცილებელია ამინდის პროგნოზის წინასწარ ცოდნა და აგრო-ვადების ზედმიწევნით დაცვა. ამ მიზნით ფერმერები ამინდის პროგნოზის ზუსტ განსაზღვრას და ამგვარი ინფორმაციის დროულად მიწოდებას ითხოვდნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

ამერიკა-საქართველო: ახალი ნაბიჯი უსაფრთხოების სფეროში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის აშშ-ში სამდღიანი (8-10 მაისი) ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა შეთანხმება აშშ-სა და საქართველოს შორის „ინფორმაციის ძირითადი უსაფრთხოების შესახებ“ (GSOIA), რომელსაც საგანგებო ყურადღება ეთმობა თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებსაიტებზე გამოქვეყნებულ ცნობებში. აშშ-ის მხრიდან შეთანხმებას ხელი მოაწერა სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა, ხოლო საქართველოს მხრიდან პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა. დოკუმენტს მაღალ შეფასებას აძლევს საქართველოს ხელისუფლება. შეთანხმება შეეხება ორი ქვეყნის თანამშომლობას ტერორიზმთან ბრძოლისა და სამხედრო სფეროს განვითარების მიმართულებებით. რის შესაძლებლობებს აძლევს ახალი შეთანხმება საქართველოს?

რექს ტილერსონისა და გიორგი კვირიკაშვილის მიერ 9 მაისს ხელმოწერილ შეთანხმებას ამერიკა-საქართველოს უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის „მთავარი ქვაკუთხედი“ უწოდა თეთრი სახლის პრეს-მდივანმა შონ სპაისერმა სამშაბათს პრესასთან შეხვედრის დროს, ყოველდღიური ბრიფინგების ფორმატში. პარალელურად, ამავე სიტყვათა შეთანხმებას ვხვდებით სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნებულ ცნობაში, რომელიც, ამავე დროს, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის შეთანხმების მიზნებსა და შესაძლებლობებზე:

„შეთანხმება (GSOIA) წარმოადგენს ძირითად ქვაკუთხედს აშშ-სა და საქართველოს შორის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ თანამშრომლობაში. ეს შეთანხმება (GSOIA) ქმნის კანონიერ საფუძველს სადაზვერვო ინფორმაციის ორმხრივი გაცვლისთვის და გააძლიერებს თანამშრომლობას ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის. შეთანხმება ასევე გაზრდის საქართველოს სამხედრო თავსებადობას ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან. ეს შეთანხმება ხელს შეუწყობს საქართველოს მცდელობას შეიარაღებული ძალების გარდაქმნის კუთხით და სამომავლოდ გზას გაუკვალავს უსაფრთხოების სფეროს სხვა შეთანხმებების გაფორმებას შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის“.

სახელმწიფო დეპარტამენტის ვებსაიტზე გამოქვეყნებული იმავე ინფორმაციის თანახმად, შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს საქართველოს წვლილისთვის გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში და მაღალი შეფასება მისცა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რეფორმირების გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს. აქვე კიდევ ერთხელ დადასტურდა შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოს განგრძობად წინსვლაში ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა ასევე ხაზი გაუსვა შეერთებული შტატების მტკიცე და უცვლელ ერთგულებას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. „ლიდერები შეთანხმდნენ კვლავაც მიმართონ ძალისხმევა საქართველოს უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ“ - ვკითხულობთ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

„შეხვედრა იყო ძალიან დეტალური, სადაც განვიხილეთ ძალიან საინტერესო პერსპექტივები ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების, თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით ურთიერთობების გაღრმავებისა და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე აშშ-ის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის შესახებ“, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფო მდივანთან შეხვედრის შემდეგ. გიორგი კვირიკაშვილმა ილაპარაკა ასევე ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილ შეთანხმებაზე:

„ეს ითვალისწინებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში, თავდაცვისა და უსაფრთხოების კონტექსტში ინფორმაციის უსაფრთხო გაცვლას, რაც ნიშნავს იმას, რომ აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში ჩვენ ვთანხმდებით, რომ ამ სახის ინფორმაციის უსაფრთხო გაცვლა მოხდება. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო გახლავთ აშშ-ის სანდო პარტნიორი, ჩვენ გვაქვს ზურგს უკან ძალიან მნიშვნელოვანი თანამშრომლობის 25 წელი... ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო შეხვედრა სახელმწიფო მდივანთან, სადაც ჩვენი ურთიერთობების ყველა მიმართულებაზე ვისაუბრეთ და ვისაუბრეთ ამ მიმართულებების გაღრმავების ძალიან საინტერესო პერსპექტივაზე“.

9 მაისს ხელმოწერილ შეთანხმებას შეერთებული შტატების ოფიციალური წყაროები მოიხსენიებენ შეთანხმებად „ინფორმაციის ძირითადი უსაფრთხოების შესახებ“, ხოლო საქართველოს ოფიციალურ წყაროებში ის მოხსენიებულია შეთანხმებად „საიდუმლო ინფორმაციის დაცვის უსაფრთხოების ზომების შესახებ“.

კახეთში გამორჩეულად ძლიერი სეტყვასაშიში პროცესები განეიტრალდა

სსსტც „დელტას“ სეტყვისსაწინააღმდეგო სისტემის აქტიური მუშაობის შედეგად 10-11 მაისს კახეთის რეგიონში განსაკუთრებით მძლავრი სეტყვასაშიში პროცესები იქნა თავიდან აცილებული, რისთვისაც სისტემამ 292 რაკეტა გაისროლა.

სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მართვის ცენტრის მიერ 10 მაისის დღის მეორე ნახევრიდან დაფიქსირდა კახეთის რეგიონში, სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებიდან შემომავალი ფრონტალური ღრუბლის მასები, საერთო ფართობით 4200 კმ². ღრუბლის მასებმა ეტაპობრივად მოიცვა ახმეტის, თელავის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, ყვარელის და დედოფლისწყაროს რაიონები. 14:30 საათისთვის სეტყვის მოსვლის ალბათობამ 80 % ს მიაღწია, სეტყვის მარცვლების სავარაუდო ზომამ კი 20 მმ-ს.

10 მაისის დღის 14:34 საათიდან 11 მაისის დილის 07:03 საათამდე ღრუბლების დამუშავება 292 ერთეული რაკეტით ეტაპობრივად განხორციელდა, შემოსული ნალექის სრული მასა აღნიშნული რაიონების თავზე ინტენსიური წვიმის სახით ჩამოიცალა.

უახლოესი მეზობლები:დიმიტრი გონაშვილი, ვანო შიოლაშვილი, ჟორა ფოცხვერაშვილი, ნოდარ გონაშვილი, ილიკო ტუხაშვილი, ჯემალ ქეთელაური, გაიოზ ხუციშვილი, რატი დოჯურიშვილი, თამაზ მჭედლიშვილი ოჯახებით იუწყებიან

ვალერი ჯანაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სს „არწივის ხეობის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გელა და ნათელა ბიღიაშვილებს

მერი ბიღიაშვილის

გარდაცვალების გამო.

მონატრება

გურამ ზურაბაშვილი

ჩემო საყვარელო, საოცნებო ბიჭო, 14 მაისს ორმოცი დღე გახდება, რაც ჩვენთან აღარა ხარ. 40 დღე თვალცრემლიანი, 40 ღამე – უძილო, გაუსაძლისი, მტკივნეული ბებიაშენისთვის. ჩემო გურიკელა, ჩემო გურამ, 21 წლისაც არ იყავი, მე-3 კურსის სტუდენტო, სიცოცხლით სავსე, ენერგიული, რა გეჩქარებოდა ამ ქვეყნიდან წასვლა. 21 წლის 21 აგვისტოს გახდებოდი, ოქროს დაბადების დღე უნდა გადაგვეხადა.

ალბათ დიდი ხნის უნახავი დედა მოგენატრა. ამიტომაც არავინ შეიცოდე,თუნდაც, შენი მარტოდ დარჩენილი გამზრდელი მამა, დედაშენის სიკვდილით გამწარებული მოხუცი ბებია. დედაშენის სიკვდლის შემდეგ შენ გამიორმაგე სიმწარე, ჩემო საყვარელო, დედით ობლად გაზრდილო ჩემო გურიკელა.

უფალსა ვთხოვ და ვევედრები, შენი სული ნათელში, სამოთხეში ამყოფოს.

შენი გამწარებული და გატანჯული ბებია მილია.

ხსოვნა

გურამ ჩიტაური



უშენოდ მოვიდა შენი დაბადების დღე. თითქოს გული გიგრძნობდა და ნაადრევად დარგე ვაზები და კაკლის ნერგები, რომლებმაც გაიხარეს. შენ ველარ შეხვდი გაზაფხულს. სიკეთით სავსე იყავი, სხვისი სიხარულით ხარობდი, ყოველთვის ცდილობდი სხვას დახმარებოდი, სხვა გაგეხარებინა. უშენოდ ყოფნა ძალიან ძნელია. გვგონია, ქუჩას შემოხსნი და შემოხვალ. ბარბარეს, რომელიც ამ ქვეყნად ყველაზე ძალიან გიყვარდა, აღარ უნდა აქ მოსვლა, შენ რომ აღარ ხარ. საბერძნეთში აპირებდი წასვლას, შვილის საფლავი უნდა გენახა, საქართველოს მიწა უნდა ჩაგეტანა. შვილიშვილებს უნდა დახმარებოდი, მაგრამ უკურნებელმა სენმა არ გაცალა. ყოველთვის მოვალთ შენს საფლავთან, აგინთებთ სანთელს, რათა გზა გაგინათოთ ცათა სასუფეველში შენც და შენს ირმასაც.

შენი ოჯახი

პატარა სპორტსმენის დიდი გამარჯვება

სამი წელია, მწვრთნელ მიხეილ სეხნიაშვილის ხელმძღვანელობით, საბრძოლო ხელოვნებების ფედერაციის დარბაზში, ახალგაზრდები სპორტულ წრთვნას გადიან ძალისმიერ სამჭიდში (პაუერ-ლიფტინგი) მიმდინარე წლის 1 იანვრიდან კი ამ ბაზაზე ჩამოყალიბდა რაიონული ნაკრები, რომელმაც ამ ოთხი თვის განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვან შეჯიბრში მიიღო მონაწილეობა როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით და ღირსეულად წარმოაჩინა თავი. მათ გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონატზე და საერთაშორისო ტურნირზე შავი ზღვის ქვეყნების თასზე. ამასთან, ბევრი სპორტსმენი ინდივიდუალურად ერთდროულად გახდა რამდენიმე პირველი და მეორე ადგილის მფლობელი. სულ ახლახანს კი, 28 აპრილიდან 1 მაისამდე, თურქეთის ქალაქ სტამბოლში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში. საქართველოს ნაკრების შემდგენლობაში ქვეყნის ღირსებას იცავდა დედოფლისწყაროს ნაკრების წამყვანი სპორტსმენი ნუკრი ქოზაშვილი, რომელიც გამოდიოდა თოთხმეტწლიანთა შორის 52 კგ წონით კატეგორიაში.

ნუკრის კი მხოლოდ 1 მარტს შუსრულდა 12 წელი და ის 38 კილოგრამს იწონის. როგორც მწვრთნელი მიხეილ სეხნიაშვილი განმარტავს, ნუკრის მონაწილეობა უფრო მაღალი სტანდარტის ჯგუფში, დარღვევა არ არის, რადგან მისი წინასწარი რეზულტატები სრულად აკმაყოფილებს იმ ზღვრულ ნორმებს, რაც ამ ასაკის სპორტსმენებისათვის არის დაწესებული. ნუკრის შედეგები ევროპის ჩემპიონატზე მართლაც შთამბეჭდავი აღმოჩნდა. მან ორ სახეობაში მიიღო მონაწილეობა და ორივეში მსოფლიო რეკორდი მოხსნა: წოლჭიმში ასწია 63 კგ (რეკორდი იყო 50 კგ), ხოლო ამოწევაში 95 კგ (რეკორდი იყო 70 კგ) როგორც ნუკრი ამბობს და მწვრთნელიც ადასტურებს, მას უფრო მაღალი შედეგის ჩვენება შეეძლო, მაგრამ შეჯიბრის ორგანიზატორებმა საჭიროდ არ ჩათვალეს, რადგან ორივე რეკორდი უკვე მოხსნილი ჰქონდა. მან მის გუნდში მონაწილე 7 მოწინააღმდეგეს არანაირი შანსი არ დაუტოვა. არადა, ამ შეჯიბრზე ისეთი ძლიერი ქვეყნები იყვნენ წარმოდგენილნი, როგორებიც არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, ირანი, რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, იტალია და თვითონ თურქეთი. ორ ოქროს მედალსა და პირველი ხარისხის დიპლომთან ერთად ნუკრიმ უმაღლესი ქულების კოეფიციენტიც მოიპოვა, რაც შემდგომი შეჯიბრებების დროს, თანაბარი შედეგების შემთხვევაში, მას დაეხმარება გამარჯვებაში. ესეც ერთი წინგადადგმული ნაბიჯია, რაც ძალიან სასიხარულოა.

გაინტერესებთ, ვინ არის ნუკრი ქოზაშვილი, 12 წლის სპორტსმენი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სახელი ევროპაში გაიტანა? - ის ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის VI კლასის ერთ-ერთი წარმატებული მოსწავლეა. მისი გვარის გასწვრივ გრაფაში იშვიათად შეხვდებით რვიანს, სამაგიეროდ ცხრიანები და ათიანები მრავლად არიან. ის თავისი მშობლების მეექვსე შვილია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახი, ძირითადად, დედის, ლალი წიკლაურის, კმაყოფაზეა, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ 6 შვილს და 9 შვილიშვილს გააწვდინოს თავისი ზრუნვა, სიყვარული და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არცთუ დიდი შემოსავალი. ოჯახი სოციალურად დაუცველთა კატეგორიაშია და ეს, თავისთავად, მიგვანიშნებს, რომ ეკონომიურად უჭირთ. მათ არა აქვთ საკუთარი სახლი (ოჯახი არხილოსკალოდან დედასთან ერთად 2007 წელს გადმოსახლდა).

არადა, ნუკრის, რომელიც სერიოზულად პერსპექტიული სპორტსმენია, სათანადო პირობები სჭირდება როგორც კვების, ასევე სხვა სოციალური თვალსაზრისითაც. სასურველი იქნება, თუ ადამიანები, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა, მხარში ამოუდგებიან ბიჭს, რომელსაც კარგი მომავალი აქვს.

– თურქეთში ჩემი გამგზავრება პირველი შემთხვევა იყო, საზღვარი რომ გადავკვეთე. მიუხედავად იმისა, რომ ძალისმიერი სპორტის ფედერაციის თავჯდომარე ირაკლი ცხოვრებაშვილი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა, მაინც გული მწყდებოდა, რომ ჩემი პირადი მწვრთნელი მიხეილ სეხნიაშვილი თან არ მახლდა, მისი გამხნევება და რჩევები მაინც სხვანაირად მაიმედებს- ხოლმე, სწორედ მისი დიდი ძალისხმევის შედეგია, მე თუ რაიმე წარმატებას მივაღწიე – გვეუბნება ნუკრი.

– რა არის შენი ოცნება?

– მინდა, მსოფლიოს მასშტაბით მივაღწიო წარმატებებს და ვასახელო ჩემი ქვეყანა, მინდა,, ჩემს გამო საქართველოს ჰიმნი აუღერდეს და ჩვენი ქვეყნის დროშა აიწიოს.

– ნუკრი, სისტემატიური ვარჯიშები, შეჯიბრებაზე გამგზავრება სწავლაში ხელს არ გიშლის?

– ვარჯიში გაკვეთილების შემდეგ მეწყება, შეჯიბრებებზე ძირითადად შაბათ-კვირა ეტანება და ყველანაირად ვცდილობ, ცოტა გაცდენები მქონდეს. თუ მიცდება, იმ პროგრამას ვანაზღაურებ, ვცდილობ, კარგად ვისწავლო. სულ მახსოვს ჩემი მწვრთნელის - მიშა მასწავლებლის დარიგება: გახსოვდეს, ნებისმიერ სპორტში მარტო ფიზიკური სიძლიერე ვერ გიშველის, გონებაც განვითარებული უნდა გქონდეს, რადგან ყველა ფიზიკურ აქტივობას გონება მართავსო. ამიტომ, ვცდილობ, კარგად ვისწავლო. თანაც მეამაყება, თანაკლასელები და პედაგოგები ჩემი სპორტული წარმატებების გამო თანაგრძნობას და სიყვარულს რომ გამოხატავენ და მე მათ კარგი სწავლით და წესიერებით ვპასუხობ.

ნუკრის პირადი მწვრთნელი მიხეილ სეხნიაშვილი ასე ახასიათებს მას: ნუკრი ჯერ მხოლოდ ერთი წელია, რაც შემოგვიერთდა და ინტენსიურად ვარჯიშობს. ის მონდომებული, მოწესრიგებული და ბეჯითი ბავშვია, კარგი ფიზიკური მონაცემები აქვს. ევროპის ჩემპიონატამდე მან საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მერე შავი ზღვის ქვეყნების თასის გათამაშებაზე ორი პირველი ადგილი დაიკავა და ძალიან მაღალი შედეგები აჩვენა. ახლა, ივნისის თვეში, ჩვენ მსფლიო ჩემპიონატი გველოდება. ნუკრისთან ერთად კიდევ 15 სპორტსმენი გვყავს მზად, რომელთაც თავისი შედეგების მიხედვით უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ამ უმაღლესი რანგის შეჯიბრში. ვნახოთ, როგორი იქნება ჩვენი ფინანსური მდგომარეობა. იცით, ფინანსები, გამგზავრების ხარჯები სერიოზული წინაპირობაა. ახლაც, ნუკრის დაფინანსებას გამგეობის დიდი ძალისხმევა დასჭირდა. მადლობა გამგებლის მოადგილეს სოლომონ ღორაშვილს და სპორტის ცენტრის დირექტორს ავთანდილ ხუმარაშვილს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს და გამგზავრების ხარჯებით უზრუნველჰყვეს იგი. მადლობა გულისხმიერებისთვის სკოლისგარეშე და სკოლამდელი აღზრდის სამსახურის უფროსს მაია ყოჩიაშვილს, რომელმაც ორგანიზება გაუკეთა და მისმა თანამშრომლებმა საკუთარი სახსრებით დახმარება აღმოუჩინეს ნუკრის. ასეთი მოქალაქეობრივი აქტივობა და მხარში დგომა ძალიან სჭირდება სპორტს, რადგან მხოლოდ სახელმწიფო სახსრებზე ჩამოკიდება, შეუძლებელია. დახმარება გვჭირდება აგრეთვე დარბაზის სპრტული ინვენტარით შევსების საკითხშიც. სპორტსმენებს უფრო მეტი რეზულტატის დადებაც შეუძლიათ, მაგრამ სიმძიმეები არ გვყოფნის და ფინანსები არა გვაქვს მის შესაძენად. ერთხელ კიდევ ვთხოვ ჩვენი რაიონის ფერმერებს, მეწარმეებს შეეწიონ ამ მნიშვნელოვან საქმეს, რასაც ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია – ამბობს ბატონი მიხეილი და ჩვენც ვეთანხმებით: - არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე ჩვენი მომავალი თაობის სწორი აღზრდა, მუდამ გვახსოვდეს, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული დგას, რომ მხოლოდ მწვრთნელის ენთუზიაზმი და თავდადებული შრომა საკმარისი არ არის და მას ჩვენი, საზოგადოების დახმარება სჭირდება.

ნარა გორაშვილი

სამსახურისთვის შეუცვლელი...

არიან ადამიანები, რომლებიც თავის საქმეს ჩუმად, რუდუნებით აკეთებენ, შეუცვლელნი არიან სამსახურისთვის, თუმცა, მუდმივად ჩრდილში არიან. ვერ გეტყვით, ეს მათი სურვილით ხდება თუ სამსახურებრივი თანამდებობის ბრალია, ერთი კი ცხადია, მათ შესახებ ცოტამ თუ იცის. სწორედ ასეთია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელი ემზარ მაძღარაშვილი. როგორც მისი თანამშრომლები ამბობენ, მისნაირ დაუზარელსა და გულისხმიერ ადამიანს ცოტას თუ ნახავთ, მისთვის არ არსებობს უქმე დღეები, თუ ამას სამსახურებრივი მოვალეობა მოითხოვს, ყოველგვარი პროტესტისა თუ წუწუნის გარეშე სამსახურშია.

– პოზიტიური, მოწესრიგებული ადამიანია, მუდამ პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, ოპერატიულია, დადებითი მუხტი შემოაქვს სამსახურში და პირად პრობლემებს თავზე არავის ახვევს,- ასე ახასიათებს მას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

დადებით და ზრდილობიან პიროვნებად მოიხსენიებენ მას გამგეობის სხვა თანამშრომლებიც, რომლებიც ემზართან საკმაოდ დიდი ხანია, მუშაობენ და აღნიშნავენ, რომ მას ურთიერთობები ყველასთან დალაგებული აქვს. „მაღალი პროფესიული უნარების ფლობასთან ერთად დადებითი ადამიანია. ძალიან კარგი მამა და მეუღლეა, ასევე კარგი ძმაა. ის ყურადღებიანია არა მხოლოდ ოჯახის წევრებთან მიმართებაში, არამედ თანამშრომლებთანაც. ამიტომაა, რომ მასთან კონფლიქტი არავის მოსვლია“– მის შეფასებაში ერსულოვანნი არიან მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე სოლომონ ღორაშვილი, იურისტი გოგი გონაშვილი, აპარატის უფროსი მარინა შეითნიშვილი.

12 მაისს მისი დაბადების დღეა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა ულოცავს მას ამ დღეს და უსურვებს ჯანმრთელობას, გახარებას თავის ლამაზ ოჯახთან ერთად. კვლავ დიდხანს ემსახუროს იმ საქმისთვის, რომელიც საკმაოდ რთულია, მაგრამ წლების განმავლობაში ემზარი ისე შეეჩვია, რომ მის გარეშე არსებობა ვეღარც წარმოუდგენია.

მადლიერება

მარინა ქორიძეს!

მინდა, გულწრფელი მადლიერება გამოვხატო თქვენს მიმართ. მას შემდეგ, რაც აღმომაჩნდა წელის მალების თიაქარი, თქვენ აბსოლიტური ყურადღებით და პროფესიონალიზმით გამიწიეთ დახმარება უკანასკნელი თვეების განმავლობაში.

თქვენ ხართ, არაჩვეულებრივი ადამიანი, საკუთარი საქმის პროფესიონალი და ერთგული.

გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და წარმატებებს. უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის მფარველი.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

პატივისცემით, ზურა პოპიაშვილი.

იყიდება!

იყიდება ერთოთახიანი ბინა ავტოფარეხით დედოფლისწყაროში (სოკარის მოპირდაპირე მხარეს) რუსთაველის ქუჩა N4, კორპუსი 31, ბინა17. შესაძლებელია გაცვლა კერძო საცხოვრებელ ბინაზე. ფასი შეთანხმებით.

☎ 591 80 35 13.

ვაკანსია

კაფე-რესტორანი „დავითი“ აცხადებს ვაკანსიას სხვადასხვა პოზიციაზე 18-დან 40-წლამდე მამაკაცებისა და ქალბატონებისთვის. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: რუსთაველის ქუჩა №53, ან დაგვიკავშირდით ნომერზე:

☎ 577-34-55-39

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 15.05	სამშაბათი 16.05	ოთხშაბათი 17.05	ხუთშაბათი 18.05	პარასკევი 19.05	შაბათი 20.05	კვირა 21.05
დღე	18 °	16 °	14 °	18 °	16 °	18 °	18 °
ღამე	13 °	13 °	15 °	16 °	17 °	13 °	12 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.